ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 384

9 აგვისტო
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „პალა ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ. 405507250) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა, №5ა (ს/კ. №01.10.10.006.024) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „პალა ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ. 405507250) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა, №5ა (ს/კ. №01.10.10.006.024) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 აგვისტო №22.1211.1304 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „პალა ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ. 405507250) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2022 წლის 6 მაისის განკარგულება №22.644.719) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2022 წლის 6 მაისის განკარგულება №197) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა, №5ა, (ს/კ. №01.10.10.006.024) - არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენებაზე - კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება

და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე შენობის გაბარიტის გადამეტებით, შენობის საერთო კონტურის ცვლილებით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე